საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 27 მაისის №82 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის 27 მაისის №82 სხდომაზე სტუ-ის სენატის სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის სენატის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.

სენატმა დაადგინა:

1. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტ სალომე ცხადაძეს, სასწავლო პროგრამის დასრულებასთან დაკავშირებით, შეუწყდეს სენატის წევრის უფლებამოსილება;
2. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის სტუდენტ მარიამ ნანუაშვილს, სასწავლო პროგრამის დასრულებასთან დაკავშირებით, შეუწყდეს სენატის წევრის უფლებამოსილება;
3. პროფ. ზურაბ ვაშაკიძეს, გარდაცვალების გამო, შეუწყდეს სენატის წევრის უფლებამოსილება;
4. ცნობილ იქნეს სტუ-ის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის პროფესორ ალეკო ქუთათელაძის უფლებამოსილება სტუ-ის სენატის წევრად.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 27 მაისის **№82** სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა **№3**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის 27 მაისის **№82** სხდომაზე სტუ-ის შიგა აუდიტის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა ალექსანდრე შერაზადიშვილმა წარმოადგინა სტუ-ის შიგა აუდიტის სამსახურის უფროსის თანამოხსენება სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიშის შესახებ.

სენატმა დაადგინა:

1. ცნობად იქნეს მიღებული სტუ-ის შიგა აუდიტის სამსახურის უფროსის თანამოხსენება სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიშის შესახებ;
2. აღნიშნული თანამოხსენება რეაგირებისათვის გადაეგზავნოს სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 27 მაისის №82 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის 27 მაისის №82 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის **2015** წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-ის 2015 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ბიუჯეტისა და ნაერთი ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების პუნქტიდან 2 000 ლარი გადატანილ იქნეს კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯების პუნქტში;

2. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ბიუჯეტისა და ნაერთი ბიუჯეტის სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარებისა და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯებიდან 6 813 ლარი გადატანილ იქნეს წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლში; სამეცნიერო ხარჯებიდან 1 000 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების სხვა მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის, რომელიც არ არის კლასიფიცირებული მუხლში; არაფინანსური აქტივების, არასაცხოვრებელი შენობების პუნქტიდან 127 794 ლარი გადატანილ იქნეს იმავე მუხლის სხვა შენობა-ნაგებობების პუნქტში;

3. ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის ბიუჯეტისა და ნაერთი ბიუჯეტის შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 300 ლარი გადატანილ იქნეს ელ. ენერგიის ხარჯების პუნქტში, ხოლო 50 ლარი – ბუნებრივი აირის ხარჯების პუნქტში.

4. სტუ-ის ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვისა და ნაერთი ბიუჯეტის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 45 463 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების პრემიის მუხლში;

5. აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიუჯეტისა და ნაერთი ბიუჯეტის საქონელი და მომსახურების სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯებიდან 55 000 ლარი და სამეცნიერო ხარჯებიდან 15 900 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების სხვა შენობა-ნაგებობების პუნქტში.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 27 მაისის **№82** სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა **№5**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის 27 მაისის **№82** სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის საშტატო განრიგში, შიგა სტრუქტურულ ერთეულებში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-ის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის საშტატო განრიგი სტრუქტურულ ერთეულებში წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 27 მაისის №82 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის 27 მაისის №82 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის საკუთრებაში არსებული ორი MDR-23 სპექტრომეტრის სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ.

სენატმა დაადგინა: მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, კანონით დადგენილი წესით, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დროებით სარგებლობაში გადასცეს სტუ-ის, კერძოდ ვ. ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის საკუთრებაში არსებული ორი MDR-23 სპექტრომეტრი.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 27 მაისის **№82** სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა **№7**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის **2015** წლის 27 მაისის **№82** სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის იჯარით გასაცემი ფართობის შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-ის VI სასწავლო კორპუსის სახურავზე არსებული ფართობის იჯარით გაცემის საკითხი სარეკლამო ბანერის განსათავსებლად კანონმდებლობით დადგენილი წესით. იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვროს 2 წლით.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე